*(ძალადაკარგულია - 21.07.2018, №3265)*

# საქართველოს კანონი
# საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შრომის ანაზღაურების შესახებ

**მუხლი 1**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე – 7 000 ლარი;

ბ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი – 6 300 ლარი;

გ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი – 6 000 ლარი.

*საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5667 - სსმ I, № 50 , 29. 1 2.200 7 წ., მუხ. 441*
*საქართველოს 2008 წლის 26 დეკემბრის კანონი №887 - სსმ I, №40, 29.12.2008 წ., მუხ.291*
*საქართველოს 2014 წლის 17 ოქტომბრის კანონი №2689 - ვებგვერდი, 27.10.2014წ*

**მუხლი 2**

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №56, 28.12.2005, მუხ. 424).

**მუხლი 3**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი**
**მ. სააკაშვილი**
**თბილისი,**

**2007 წლის 4 ივლისი.**
**№5207–რს**